616/3-2/22 2 24012022

616/3-2/22
24-01-2022

გორის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ვლადიმერ ხინჩეგაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

12/11/2021 გამოგზავნილ წერილ N 20-202131663-ის თანახმად- აღნიშნულ პერიოდში მიმდინარეობდა ზარდიაანთკარში მდებარე 28 დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მდგრადობის შესწავლის სამუშაოები და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცედურები, რომლის დასრულების შემდეგ უნდა მომხდარიყო თანხების მოძიება.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის თანახმად, გთხოვთ მომაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია:

- დასრულდა თუ არა აღნიშნული 28 სახლის მდგრადობის შესწავლა?
- შედგა თუ არა შესაბამისი საპროექტო-ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია?
- რა ეტაპზეა სახლების რეაბილიტაციისათვის საჭირო თანხების მოძიების საკითხი?

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია

გორის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **20-202202780**
თარიღი: **27/01/2022**
პინი: **9244**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალბატონო თეონა,

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული თქვენი განცხადების (#02-2022025335-20 25/01/2022) პასუხად გაცნობებთ, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნით სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მიმდინარეობს სოფელ ზარდიაანთკარში დაზიანებული საცხოვრებელი სახლების ტექნიკური მდგომარეობის, შენობების მდგრადობის შესწავლა. ამ ეტაპზე მომზადდა 23 საცხოვრებელი სახლის ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო დარჩენილი სახლების ექსპერტიზა დასრულდება უახლოეს პერიოდში, რის შემდგომაც განხორციელდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა.

პატივისცემით,

ქეთევან არსენიძე

გორის მუნიციპალიტეტის მერია-საჯარო ინფორმაციის
გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი